



[მოდრობა სირცხვილია](#) და [საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო](#), [ლია საზოგადოება საქართველოს](#) და [დემოკრატიის ევროპული ფონდის](#) მხარდაჭერით, მართავს არჩევნებზე წასვლის მამოტივირებელი პრინტების ღია კონკურსს. ქვემოთ მოცემული დავალების შესრულება და ნამუშევრის გამოგზავნა შეუძლია ნებისმიერ მსურველს 12 ოქტომბრის 23:59-ის ჩათვლით, ელექტრონულ ფოსტაზე - [contest@shame.ge](mailto:contest@shame.ge)

სპეციალური ჟიურის მიერ გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან, გამარჯვებული პრინტი კი მთელ ქვეყანაში გავრცელდება.

- I ადგილი - 3,000ლ
- II ადგილი - 1,500ლ
- III ადგილი - 800ლ

## გრაფიკული პოსტერების კონკურსი “შევხვდებით არჩევნებზე!”

### ამბავი

საქართველოს ყველა ზრდასრულ მოქალაქეს, 2020 წლის 31 ოქტომბერს ხელთ ექნება შესაძლებლობა, რომელზეც ამ ქვეყანაში თაობები ათწლეულების განმავლობაში ოცნებობდნენ. შარშანდელი 20 ივნისიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე კი,

საზოგადოების გაერთიანებული ძალებით ბრძოლამ ბოლოსდაბოლოს შედეგი გამოიღო და მოგვაპოვებინა. საუბარი, ცხადია, პროპორციულ არჩევნებზეა. სულ რამდენიმე კვირაში, საქართველოში, ახალი ოთხნობიანი პარლამენტი აირჩევა, რომელიც უბრალოდ ახალი კი არა, სულ სხვანაირიც იქნება. რადგან წლევანდელი არჩევნები პროპორციულთან მიახლოებული, ე.წ. „თითქმის პროპორციული“ სისტემით ჩატარდება.

ასეთ არჩევნებზე ყველას ხმა გაცილებით წონიანია, რადგან ახლა პარლამენტში მოსახვედრად პატარა მხარდაჭერაც კმარა და სწორედ ამის შედეგად გველირება ისეთი პარლამენტი, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები აისახება. ანუ ქართულ პოლიტიკას მოუწევს რომ ჩადგეს ხალხის სამსახურში და დაივიწყოს ერთპიროვნული მმართველობები.

## გამონკვევა

ქართველი ამომრჩევლის ახალგაზრდა ნაწილი არჩევნებზე ყოველთვის განსაკუთრებული პასიურობით გამოირჩეოდა. რადგან თვლიდნენ რომ არჩევნებზე წასვლა/არწასვლა მათ ცხოვრებაში არაფერს შეცვლიდა. ნაწილობრივ მართლებიც იყვნენ და ხშირად მოსაწონიც არავინაა, მაგრამ არჩევნებზე მაღალი აქტივობა, ვინ რამდენი ხმაც არ უნდა აიღოს, თავისთავად ნიშნავს მეტ დემოკრატიას და ნაკლებ პოლიტიკურ კრიზისს. რაც ავტომატურად ისახება თითოეული ჩვენგანის უკეთეს ყოველდღიურობაზე.

და რაც მთავარია, ახლა, როცა თითქმის პროპორციული არჩევნები გვაქვს და თითოეულ ხმას მნიშვნელოვანი როლი აქვს, ამ ისტორიულ არჩევნებზე, მონაპოვარის განიაცება იქნება შეცდომა, რომელსაც დიდ ხანს ვერ გამოვასწორებთ.

## ამოცანა

საჭიროა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ვუბიძგოთ არჩევნებზე წასვლისკენ. ისეთები კი, ვინც არჩევნებზე წასვლას არ აპირებს ან ყოყმანობს, მრავლად გვხვდებიან ახალგაზრდებში. შესაბამისად, ლოგიკას არ იქნება მოკლებული ვიფიქროთ, რომ საქართველოს თვისობრივი განახლების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ახლა ახალგაზრდებზეა. ამოცანა ამოხსნილად ჩაითვლება, თუკი ასეთი ადამიანების უმრავლესობა 31 ოქტომბრის არჩევნებზე მივა და ვინმეს შემოხაზავს.

## დავალება

შექმენით გრაფიკული პოსტერი, რომელიც ახალგაზრდა ამომრჩეველს 31 ოქტომბერს არჩევნებზე წასვლას მოანდომებს.

### პოსტერი უნდა იყოს:

ფორმატი/ზომა: A3

ორიენტაცია: ვერტიკალური (portrait)

## მიზნობრივი აუდიტორია

18-34 წლის ამომრჩევლების ის ნახევარი (310 000-ზე მეტი მოქალაქე), რომელიც არ დადის არჩევნებზე.

## რჩევები

პოსტერის შინაარსზე და მესიჯზე ფიქრისას შეიძლება გამოგადგეთ (არააუცილებელი) მიმართულებები:

- **მთავარია მონაწილეობა**

ზოგადად, არჩევნებში, და განსაკუთრებით პროპორციულში, მონაწილეობა მართლაც უკვე გამარჯვებაა. ხოლო 2020ის არჩევნები ისეთ ისტორიულ პროცესში მონაწილეობის შანსს გააძლევს, რომელიც თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ფორმირების საქმეში წამყვან ადგილს დაიკავებს.

- **ითამაშე შენი როლი**

ყველა ადამიანს თავისი შეუცვლელი ხმა აქვს, რომელსაც სხვა ვერავინ გააჟღერებს. ამ ხმის ასეთ არჩევნებზე ამოღება კი თითოეული ჩვენგანის სათამაშო როლია ქვეყნის ბედის განსასაზღვრად.

- **პოლიტიკა თვითონ გვერევა**

პოლიტიკა ერევა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა ვერევი თუ არა ჩვენ პოლიტიკაში. და როცა პოლიტიკა გვერევა, წაგებული ხალხი ვრჩებით..

პოსტერის შინაარსსა და მესიჯში სასურველია **ერიდოთ**:

- ვინმეს, მათ შორის მიზნობრივი თუ სხვა ასაკობრივი ჯგუფების **დისკრედიტაციას**.

## მონაწილეობის პირობები

ნამუშევარს შეიძლება ჰყავდეს ნებისმიერი რაოდენობის ავტორი, თუმცა არ შეიძლება რომ ერთი ავტორი ჰყავდეს სხვადასხვა ნამუშევარს.

გამოგზავნის ბოლო ვადაა **12 ოქტომბრის 23:59**

ფორმატი: **Png**

მისამართი: [contest@shame.ge](mailto:contest@shame.ge)

**მეილში მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი და საკონტაქტო ნომერი.**

კონკურსში მონაწილეობით (ნამუშევრის გამოგზავნით) თქვენ ავტომატურად გვანიჭებთ ორგანიზატორებს თქვენი ნამუშევრის მიზნობრივად გამოყენების უფლებას.

**გახსოვდეთ, ყოველ წამს ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ნებისმიერი ხმა შეიძლება იყოს გარდამტეხი, მათ შორის ხმა, რომელსაც პრინტის სახე აქვს... 😊**